თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

ვირა, 27 მარტი | ფასი
№13 — 1916 | 10 კ.

წელიწადი
მეოთხე

მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ.
„თეატრი და ცხოვრება"
წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-4 გვ.)

მაჰმადიან ქართველთა დეპუტაცია თბილისში

მიხ. კავსაძის გუნდი.

„ახალი კლუბი“

ოთხშაბათს, 30 მარტს

ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობა

თავის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობეს. გამართავს

საღამოს

შემდეგის პროგრამით:

1 რაც გინახავს—ველარ ნახავ
ირველი მოქმ. ქ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით

2 რუსული მინიატურა
ქ. ვასილჩიკოვას მონაწილეობით

3 ქორეოგრაფიული გან-ყოფილება—ბალეტი

4 საკონცერტო განყოფ.
რუსულ ოპერის საუკეთესო ძალთა მონაწილ.

☛ ბაზარი ☚

მონაწილენი: გრ. რობაქიძე, ილ. ყანჩელი, ბ. გოგიაშვილი, ლევ. პიშნოვი, მ. ქ[illegible] და სხვ.
ქართული და ევროპ. ცეკვა. კიოსკები, ფოსტა, პტი-შვო, შამპანიური, ყვავილები, კონფეტი და სხ.

3 ჯილდო საუკეთესო ევროპულ ტანისამოსისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 13

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპაინ"ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" І. Имедашвили

№ 13 ᲥᲕᲘᲠᲐ, 27 ᲛᲐᲠᲢᲘ 1916 Წ.

უბრალო საუბარი
უბრალო მკითხველთან

II

1905

საზოგადო მსჯელობას რომ თავი დავანებოთ და გადავხედოთ საქართველოს, აქაც ჩვენ ვნახავთ სხვა და სხვა კლასებს და მათ შორის პროლეტარიატსაც.

ჩვენს პროლეტარიატს ანუ მუშა ხალხს შეუძლია რომ სთქვას საქართველო ჩემი სამშობლოაო. არა თუ შეუძლია, მას არ შეუძლია, ასე არა სთქვას, რადგანაც ის შეერთებულია, სულიერათ შეკავშირებულია ქართველ ერთან, ქართულ კულტურასთან.

ამით ის თავის თავს აღიარებს მხოლოდ ეროვნულ კლასათ და არა ნაციონალისტათ.

ხოლო მას არ შეუძლია სთქვას: საქართველო მარტო ჩემია, მარტო ქართველებისაო. აი ამ შემთხვევაში უღალატებდა ის თავის თავს და გადიხრებოდა ნაციონალიზმისაკენ.

საქართველოში გარდა ქართველებისა ცხოვრობენ სხვებიც: სომხები, თათრები, ებრაელები, ოსები, ბერძნები.

სასურველიც რომ იყოს მათი აყრა და საქართველოდან განდევნა, ქართველ ერს არავითარი საშუალება არა აქვს, რომ ეს სინრულეში მოიყვანოს.

და შესაძლებელიც რომ იყოს, სასურველი არ არის, რადგანაც ამგვარი უკიდურესი ნაციონალიზმი მხოლოდ სიძულვილსა და მტრობას სთესავს და ეროვნულ კეთილდღეობას ძირს უთხრის.

მეგობრული კავშირი და განწყობილება ყველა იმ ერებთან, რომლებიც უძველესი დროიდან საქართველოში დასახლებულან და საქართველოს თავის სამშობლოდ აღიარებენ, —აი ერთად ერთი გზა ქართველი დემოკრატიისა.

ეს კავშირი და განწყობილება ყველასათვის სასარგებლო და საჭიროა, განსაკუთრებით კი ჩვენთვის—ქართველებისთვის, რადგანაც უმთავრესი პატრონი, უფროსი შვილი საქართველოსი ჩვენა ვართ და ამიტომ ჩვენ მეტი მოვალეობა გვაწევს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი მეზობლების წინაშე.

ვიდრე სხვისათვის იზრუნავდე, შენი საკუთარი თავი უნდა გქონდეს უზრუნველყოფილი; ვიდრე სხვას მისცემდე რასმეს, შენ თვითონ უნდა გქონდეს რამე შეძენილი.

ქართველ ერს აქვს თვისი თავი უზრუნველყოფილი?

არა.

მას აქეთ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, უმთავრესი ყურადღება იმას მიაქციეს, რომ ქართველი ერი გადაეგვარებიათ.

ამიტომ ქართველი ერისათვის საჭიროა შინაური ცხოვრების დაფუძნება ისეთ ნიადაგზე, რომ ჩვენი არსებობა და წინმსვლელობა დაცული იყოს.

აქედან თავის თავად იბადება ეროვნული საკითხი.

ეროვნული საკითხი უმთავრესათ დამო-

ნებული, დაპყრობილი ერის საკითხია, ანდა ისეთი ერისა, რომელიც თავისის ნებით, თვისის სურვილით უერთდება მეორეს, როგორც ქართველი ერი მოიქცა ამ ასი წლის წინეთ.

არის თუ არა საჭირო ცალკე გამოყოფა ეროვნული საკითხისა, თუ ეს ერთიანათ შედის პოლიტიკურ საკითხში და უკანასკნელის გადაწყვეტა ამავე დროს მოასწავებს პირველის გადაჭრასაც?

პოლიტიკური საკითხი ეროვნულს არა ჰფარავს და აგრეთვე პოლიტიკური საკითხის გადაჭრა სრულებითაც არ მოასწავებს ეროვნული საკითხის მოწესრიგებასაც.

აიღეთ თუნდა ინგლისი. ინგლისი თავისუფლების ქვეყანაა, მაგრამ თავისუფლებას ეროვნულ საქმეებში არც ირლანდიას აძლევს ის, არც ინდოეთს.

დავანებოთ ინგლისს თავი და ჩავუკვირდეთ ჩვენს საკუთარ ცხოვრებას.

განა რუსის ხალხი და ჩვენ ერთსა და იმავე ტაფაში ვიწვით?

არა და აი როგორ:

საერთო უუფლებობისა გამო ჩვენ ვიწვით იმავე ტაფაში, რომელშიაც რუსის ხალხი, მაგრამ ჩვენთვის არსებობს კიდევ მეორე ტაფა—ტაფა ეროვნული დევნისა.

აიღეთ რუსის მუშა. იმას დევნიან რუსეთში მარტო მისი რწმენისა და ამ რწმენასთან შეფარდებული მოქმედების გულისათვის. რუსის არც ერთ უკიდურეს რეაქციონერს აზრათ არ მოუვა, რუსი მუშა სდევნოს მხოლოდ იმისათვის რომ ის რუსია.

ქართველ მუშას სდევნიან იმისათვისაც, რისთვისაც რუსს—ე. ი. რწმენის გულისათვის, გარდა ამისა იმისათვისაც, რომ ის ქართველია.

განა ცოტაა იმის მაგალითი, რომ სულ უბრალო ალაგი ქართველი მუშისათვის არ მიუციათ მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართველია?

რანაირათაც უნდა იყოს შევიწროებული რუსეთის დემოკრატია, მას არავინ არ უკრძალავს საკუთარ ენაზე სწავლას, ლაპარაკს, ლოცვას. მას არ ართმევენ მიწაწყალს იმ მიზნით, რომ ზედ სხვები დაასახლონ.

ქართველ ხალხს კი ერთსაც უკრძალავენ, მეორესაც და, თუმცა მას საკმაო მიწა არ გააჩნია, მაგრამ მაინც ართმევენ ყოველგვარის ხრიკებით და სხვებს ასახლებენ ზედ.

ამ გვარი მაგალითებითა და მათი დასაბუთებით მთელი ტომები დაიწერება.

როგორცა ვხედავთ, ეროვნული საკითხი უმთავრესათ დემოკრატიის საკითხია და დემოკრატია არის ყველაზე უფრო დაინტერესებული იმის გადაჭრაში.

ბევრი ჰფიქრობდა და ჰფიქრობს ჩვენში: თუ პოლიტიკური საკითხი გადაწყდა დემოკრატის გამარჯვებით, ეროვნული საკითხიც გადაწყდება და რაღა საჭიროა მისი ცალკე წამოყენებაო.

მაგრამ განა არ ვიცით, რამდენი ხანია ინგლისში თავისუფლება არსებობს და ისიც ვიცით, რამდენი ხნის ბრძოლა დასჭირდათ ირლანდიელებს თავისუფალ ინგლისთან, რომ ავტონომია მოეპოვებიათ.

აიღეთ კადეტები, რომლებიც თავის თავს ხალხის თავისუფლების პარტიას უწოდებენ. მათ თავის პროგრამაში მარტო პოლონელთა ავტონომია შეიტანეს და დანარჩენი ერები თითქოს არც კი არსებობდენ რუსეთში.

აიღეთ გამოჩენილი პლეხანოვი, რომელიც დღეს რუსეთის პროლეტარიატს მოუწოდებს: ყოველივე დაივიწყე და მხოლოდ სამშობლოს დაცვისათვის იზრუნეო.

ამავე პლეხანოვთან გუშინ კრინტს ვერ დაძრავდით საქართველოს ავტონომიის შესახებ.

ნათქვამია, სხვისი იმედით ფართე ლოგინს ნუ დაიგებო.

თუ ქართველმა ხალხმა თვითონ არ იზრუნა ეროვნული კეთილდღეობის განმტკიცებისათვის და მარტო სხვისი იმედის ანაბარა დარჩა, საეჭვოა, რუსეთის გამარჯვებული დემოკრატია მისცემს რასმე მას თუ არა.



კომპ. კ. ფოცხვერაშვილი

ირას, 27 მარტს, საარტ. საზ. დარბაზში პირველად ართავს ქართულ სიტყვა-მუსიკობას. სიტყვის შინა-ბი: სიმღერა-გალობა და მისი ჰარმო ია-კონტრა-პუნქტურა.

ევდის სტრიქონები

(მ ი ნ ი ა ტ ู რ ე ბ ი)

Скучно на этомъ свѣтѣ господа.
Гоголь.

ი ა.

და ჯერ კიდევ გაზაფხული ებრძვის ზამ-ბარს, და ჯერ კიდევ თოვლის რიდე ახვევია ბგვლივ მთა-ბარს, ჩემს ბაღში კი ამ დილით ოვე ია გადაშლილი. ცრემლებს იგი დაე-ბმა, იყო მორცხვად თავდახრილი. მსურდა ცრემლი მომეწმინდა და შევახე ხელი იას, გრამ ცრემლთან თვით ყვავილიც მოსწყდა ფორტზე. და ჩემს ხელში ფერ-მიხდილი გა-შორა ის სიცოცხლეს.

საფლავად ამ ყვავილისთვის მე ეს წიგ-ავარჩიე და ცრემლების ნაცვლად ირგვლივ ლნის სითხე დავაქციე. და ხომ ხედავ იის ბგვლივ რამოდენი სტრიქონები დაიწერა? იკითხე, თუ გსურს მიხვდე გული სევდით ბ დასერა.

თ ა ი გ უ ლ ი.

დაასრულებ თუ არა ლექსს, და დარბაზ-შეიქნება ტაშის ცემა, მოვალ მაშინ სცე-ახლო და გადმოგცემ ყვავილთ კონას. გულში ბარათს ნახავ, წაიკითხე და შიგ ებ ჩემი სულის ამოცანას.

დამპირდა და აღასრულა.

და ბარათიც ასე მოწმობს: დაღვრემილი შენი სახე ვერ აღელვებს ვნებით ჩემ გულს. იყავ გიჟი, იყავ ლაღი და მოგიძღვნი სულ მთლად ჩემს სულს.

დღეს ის ქალი უფრო ლამაზ თაიგულით მიიჩქარის ჭიდაობის საყურებლად, და როდე-საც ძლიერი სუსტს დაამარცხებს, დასცემს უძლურს, ეს ასული მძლავრ ფალავანს გაუწო-დებს თვის თაიგულს.

და ხვალ კიდევ, ვინ იცის რომ ყვავილთ კონას არ მიუძღვნის ვიღაც თავხედს? და ამ რიგად ვიდრე ბაღში სულ არ დაჭკრეფს ვარდ-ყვავილებს, სურნელოვან თაიგულებს არავის-თვის დაიშურებს.

ეჰ, ნუ სწუხარ, სულო ჩემო, ასე უყ-ვართ ამ გვარ ქალებს.

Ш მ გ ო ს ნ ი ს ბ ე დ ი.

საკვირველი იყო ის გრძნობა, რომელ-საც ნაცნობნი განიცდიდენ ამ დღეს მის და-ნახვაზე.

მწარე ფიქრებით დამძიმებული მიდიოდა ის...

— ეს შენა ხარ, ჩემო მგოსანო?

გაიფიქრა ახალგაზდა ასულმა მის დანახ-ვაზე. ძლიერ გტანჯავს დაუცხრომელი ვნება? მოკვდი, სიამოვნებით დავაფრქვევ ცრემლებს შენს საფლავზე და ვიტყვი თავმომწონედ: „მე მას ვუყვარდი“.

— ჰა ტარიგი წმინდა? ჰა სიმშილის მსხვერპლი.

მწუხარედ წარმოსთქვა მგოსნის დანახვა-ზე მისმა მეგობარმა.

სულით დაღლილი, მწარე ფიქრებით და-მძიმებული, სიმშილით განაწამები მიდიოდა ის, უაზროდ, უმიზნოდ დაეხეტებოდა ქუჩი-დან ქუჩაში და ყოველი ნაბიჯი მისი უახ-ლოვდებოდა სამარადისო არარაობას.

და მის ახლო-მახლო გამვლელ-გამომვ-ლელთ სიამოვნების ღიმილი ეფინებოდათ სა-ხეზე, როდესაც გაიფიქრებდენ, რომ მალე იხილავდენ საუცხოვო გასართობს—მგოსნის დასაფლავებას.

IV შ ე ნ ს ა ხ ს ო ვ რ ა დ!

დიდხანს, დიდხანს ვმღეროდი გატაცებით იმ წარსულ დღეთა მოგონებაზე, რომელმაც შემდეგ სამარადისო სევდით დატვირთა სული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს სიყმაწვილეს ვიგონებდი და შვებით მიძგერდა გული.

დიდხანს შემეძლო დავმტკბარიყავ ჩემივ სიმღერით, რომ შენს შეუსაბამო საქციელს არ დაერღვია ოცნება ჩემი.

იყავ წყეული! რად უსმენდი ჩემს სიმღერას, ჩემს გრძნობის თამაშს, ამ ჩემს ოთახში რად ჩამოაგდე წერილი შენი?

მწერდი: მაცნობე რა მოგიძღვნა ჩემდა სახსოვრად, არ დავიშურებ არაფერ განძს ოღონდ მითხარი.

გამოვერკვიე და კვლავ სევდამ მოიცო სული. ბალის სიღრმეში მოსეირნეს ეს გადმოგძახე:

— შენს სახსოვრად? შენს სახსოვრად, ჩემო კარგო, მომიძღვენი აბრეშუმის ქსოვილიდან დაგრეხილი გრძელი თოკი, რომ თუ ოდესმე კვლავ დამირღვიე სულის სიმშვიდე, გამომაფხიზლე ოცნებით მთვრალი, შევძლო იმ თოკზე ჩამოვირჩო მე ჩემი თავი.

V ქალი.

— რამ შეგაშფოთა, რად გადმოგეფრქვა თვალთაგან ცრემლი?

— მას ცოლი შეურთავს!

— ვის! ვინც შენ გიყვარდა?

— არა! ვისაც ვუყვარდი, ვინც სიყვარულს მეფიცებოდა და თანაგრძნობას არ ვუცხადებდი.

— ეხლა რად სტირი? იქნებ გიყვარდა და ამ სიყვარულს თვით შენს გრძნობასაც არ უმეღვანებდი?

— მე ის არას დროს არ მყვარებია, მაგრამ იგი მიწყლულებს სულს, რომ ამ დღის შემდეგ არ ვეყვარები.

— საბრალო ქალო! სამწუხარო ის არის მხოლოდ რომ მას, ვინც შენს სიყვარულს გეფიცებოდა, არას დროს არ ყვარებიხარ, არას დროს.

VI ეკლის გვირგვინი.

ცხოვრების ველზე მრავალთ ამკობს დაფნის გვირგვინი, ეკლის გვირგვინი მხოლოდ რჩეულთ შეშვენის შუბლზე ოჰ, ვის, ვის ძალუძს თავს დაიდგას ეკლის გვირგვინი?

მახსოვს, თუ ვით შევცქეროდი, როგორ მიჰყავდათ ისინი გოლგოთისკენ. მათ არ ედგათ თავზე გვირგვინი ეკლის. ისინი უგვირგვინოდ დაიღუპნენ, მათ უგვირგვინოდ აღმოხდათ სული.

და რას ფიქრობდენ ისინი უკანასკნელ წუთს? უთუოდ ელოდნენ ეკლის გვირგვინს. მაგრამ სიკვდილი უგვირგვინოდ უხუჭავდა მათ თვალებს.

სულო ცოდვილო! შენც ოდესმე ნატრობდი გვირგვინს, შენც გსურდა დაგეკრიფა ნარ-ეკალი გვირგვინის დასაწნავად, მაგრამ ეკლის ძირებიც კი აღარ დაგხვდა წამების ბაღში, იგი უდაბნოდ გიქციეს მტრებმა.

და რად დაღვრემილხარ, სულო ჩემო? როდესაც დაფნის გვირგვინებით შემკობილი წაგიძღვებიან გოლგოთისკენ, მით იამაყე, რომ შენ ერთი სდგეხარ უგვირგვინო მათ შორის.

რომ ეკლის გვირგვინი გიმკობდეს შუბლს, ღმერთი უნდა გიწოდონ და შენ სულო, ჩემო! ნუ თუ შვების ძიებაში ისე დაეცი, რომ ნებას მისცემ ფარისეველთ გიწოდონ ღმერთი?

(დასასრული იქნება)

მიხ. ხოდოტიშვილი

მკითხავთან

(ღღევანდელი სოფლის სურათი)

I

— ფეფო, შენ გენაცვალე, ღღეს შენი საგარეო კაბა მათხოვე, ბაზარში მივდივარ, მალე ჩამოვალ.

— ბაზარში რა გინდა, ქა, ამ სიცივეში! — გამოეხმაურა სოფოს სახლის კარებში მდგომი ფეფო და თან გაკვირვებით დაუწყო ყურება: გასასყიდლად მიგაქვს რამე? კვერცხები თუ გაქვს, აი ი „სანიტარას“ კაცებს მიჰყიდე, ორს იღებენ შაურათ, ხომ, იცი, სახელოზე წითელი „ლენტის“ ჯვარი რომ აქვ მიკერებული?

— არა, — ამოოხვრით მიუგო სოფომ გასასყიდელი კვერცხები ვინ მომაშავა.. ღღეს მიხოს ცოლი ვნახე, საბედო, და მითხრა: ბაზარში კარგი ახალი მკითხავი მოვიდაო. საბედოსთვის უთქვამს თურმე: ღმერთს

ნუ სცოდავ, შავები გაიხადე, შენი ქმარი მკვდარი არ არის, „პლენად“ ჰყავს გერმანიასო; საწყალ საბედოს მიწაზე აღარ უდგია სიხარულით ფეხი; მეც მინდა ვაკითხვინო იმ საცოდავ ბიჭისთვის, შაქროსთვის, ქა!—სთქვა და თან თვალებზე ცრემლები მოადგა:—სამი თვეა წერილი არ მიმიღია..

— კაბას როგორ დაგიჭერ, მაგრამ მეც მინდა ვაკითხვინო...

— შენ რა გიჭირს სამკითხავო, ღმერთი გწყალობს: ჯერ შენი „ვაენში“ არავინ წაუყვანიათ.

— არა, ჩემო სოფო, მეც ძალიან დარდში ვარ ჩავარდნილი: მწერელს ეთქვა კანცელარიაში, მალე ლურჯ ბილეთიანებსაც მოითხოვენო; შაქროს რა უჭირს, ცოლშვილი მაინც არ დარჩენია, ბესო რო წაიყვანონ ამოდენა ხიზანს ყელი გამოგვეჭრება,—სთქვა და თან გადახედა გვერდზე ატუზულ ნახევრად ტიტველ ბავშვებს, რომლებიც სიცივისაგან საცოდავად კანკალებდენ.

— როგორ ლაპარაკობ, ფეფო, ცოლშვილი რომ არ დარჩენია, იმიტომ არ არი ცოდო? ჩვენ იმი მეტი ვინ გაგვაჩნდა ამ სიბერის დროს: დამმარხველიც არავინა გვყავს...

— მართალია, მაგრამ ცოლშვილის პატრონი კაცი მაინც უფრო შესაბრალია.

— არა, გეთაყვა, შენი საგარეო კაბა დღეს მე მათხოვე და, თუ კარგებისა მითხრა მე, გეტყვი და მერე შენც აკითხვინე... ე, ვერანა, რაღა დღეს აცივდა ასე... სიცივეს ვინა ჩივის, მარტო სირცხვილია ამ კაბით წასვლა,—უთხრა სოფომ და თან რამოდენიმე ადგილას დაკერებული თავისი ძველი ჩითის კაბა ჩაათვალიერა.

— კარგი, წაიღე! მიუგო ფეფომ და თავისი საგარეო კაბა გამოუტანა...

II

— მამაო იოანნე, ღვინო მიირთვით, შენდობა შეუთვალეთ მიცვალებულს!—სთხოვეს მღვდელს ხანში შესულმა ახლოს მჯდომმა გლეხებმა.

მამა იოანნემ ჯერ წვერებზე დინჯათ დაისვა ხელი, ამოახველა და მერე მაღალის ხმით მიმართა შავებში გახვეულ საბედოს, რომელიც სახლის ერთ კუთხეში მიმჯდარიყო და სუფრასთან მჯდომ ხალხს ათვალიერებდა: კერძი ხომ არავის აკლიაო.

— იცოცხლე, შვილო საბედო, შენს მიცვალებულს ღმერთმა შეუნდოს, მისი დანაკლისი დღე ღმერთმა შენ და შენს შვილებს შემატოს... დღევანდელი მომზადებული ხარჯი ღმერთმა შეგიწიროს, ვითარცა მსხვერპლი ისაკისა და აბრაამისა.

— ამინ, ამინ!—დაიძახა ხალხმა და ყველამ ჭიქებს „თავი წაუქცია“, საბედომ სიტყვიერად მადლობის თქმა ველარ მოახერხა, თვალებში ცრემლები მოებჯინა, და მადლობის ნიშნად თავს უქნევდა მამა იოანნეს:

— საცოდავი მიხო!—ჩაილაპარაკა ერთმა მოხუცებულმა: იმას ჩვენს სოფელში ხო ერთი ბიჭიც ვერა სჯობდა... მართალი, პატიოსანი და დოვლათიანი მუშა კაცი იყო.

— აკი ამბობდნენ, ტყუილი გამოდგა მიხოს სიკვდილი, „პლენად“ გაუყვანია გერმანიასო?.. რას არ მოჭორავენ ამ ჩვენ სოფელში!—ჩაერია ლაპარაკში მეორე გლეხი.

— შავებიც კი გავიხადე მე უბედურმა.—ზლუქუნით წარმოსთქვა საბედომ: მკითხავს დაუჯერე, იმ ჩემი ცოდვით სავსეს.. „ღმერთს ნუ სცოდავ, შავები გაიხადე, შენი ქმარი ცოცხალიაო, წმ. გიორგის ცხვარი შესწირეო!“ გაუწყრა იმას მისი მადლი და ჩემი ცოდვითამც არ ულხენია... სალოცავიდან, რომ დავბრუნდი სამი დღე არ გასულა, ეს უბედური ამბავი გამომიცხადა მამასახლის...

საბედომ სიტყვის გათავება ველარ შესძლო, ცრემლები მძლავრად მოებჯინა თვალებში და გულამოსკვნით განაგრძო ზლუქუნი.

— არა, შვილო, რომ გარიგებთ, რატო არ მიგონებთ, ი მატყუარა მკითხავებს რათ უჯერებთ? ღვინის განგებას მკითხავი რას მიხვდება? დაუწყო დარიგება ხალხს მამა იოანნემ.

— მართლა, შენ რა გითხრა, სოფო, მკითხავმა იმ დღეს, ჩემი კაბა რომ ინათხოვრე? მოისმა მანდილოსნებში დაბალი ხმა.

— გვატყუებენ, ჩემო ფეფო, და ის არის, მეტი არაფერი... ათი კვერცხი აუტანე და მა-

ნეთი ფული... »ამ ერთ კვირაში თუ შენი ბიჭის წერილი არ მოგვივა, მე მარჯვენა ხელს მოვიჭრიო«. აგერ ერთი თქვე გადის, მაგრამ...

— არა, მე ცოდოს ვერ დავიდებ: მე რაც მითხრა ი ახალმა მკითხავმა, ყველაფერი მეჭაშნიკა!.. ჩაერია ფურჩულით ლაპარაკში მესამე მანდილოსანი.

— არა, შვილებო, მკითხავთან სიარული ზედმეტი ხარჯია,—განაგრძო ისევ მამა იოანნემ; აგერ საბედოს ცხვარი შეუწირავს ხატისთვის ი კუდიანის რჩევით. ასეთი ხარჯი არც ღმერთის მოსაწონია, არც კაცის... ის ცხვარი აი დღეს შეეფერებოდა, „ორმოცზე“...

— უკაცრავად, მამაო, სიტყვა გაგაწყვეტინეთ!—დაიწყო იმ სოფელში „ნასწავლ კაცად“ ცნობილმა ახალგაზდა გლეხმა ნიკომ: მკითხავი, მკითხავია, მაგრამ ეს დღევანდელი ხარჯიც ზედმეტია,—უთხრა და ამასთანავე თვალი გადაავლო მადიანად მოსადილე ხალხს: დღეს ამ ხალხის აქ გაძღომა მიცვალებულის სულს არას შემატებს, ამოდენა ხარჯი მის უპატრონოდ დარჩენილ ობლებს კი ორ წელიწადს გამოკვებავდა.

— მერე, ცხვრებში მამასისხლად ნასესხები ფული მისცა საწყალმა საბედომ: გეურქაანთ არშაკას ნახევარი თალარი პური უნდა აძლიოს წელიწადში თუმნის „პრაცენტათ“,— ჩაილაპარაკა თავისთვის ერთმა მოხუცებულმა.

— მაშ, თქვენის აზრით, მკვდარს სულის ხსენება არ უნდა? პირუტყვები ხომ არა ვართ, ქრისტიანი ხალხი ვართ!.. საცოდავს მეტი რაღა ერგება თავის ოჯახიდან, შესანდობარიც აღარ უნდა დაილიოს მიცვალებულის მის ნაამაგარ ოჯახში?!—წარბ-მოჭმუხვნით უპასუხა მამა იოანნემ ნიკოს.

— არა, მამაო, როდის მოგახსენეთ სულს ხსენება არ უნდა მეთქი?! მე ვამბობ მხოლოდ ამ ზედმეტი ხარჯის, ქელეხების შესახებ.

— არა, თქვენ თუ კარგი ნასწავლები ხართ, ღვთის საქმეში ჩარევას, ისა სჯობია, ხალხს ურჩიოთ მკითხავთან ნუ დაიარებიან,—უპასუხა ნიკოს მამა იოანნემ ნაწყენი კილოთი, „საყოლაწმინდაო« დალია, მნათეს რაღაცა ანიშნა, აიღო თავის ყავარჯენი და გამოუმშვიდობლათ წავიდა სახლში.

გრ. საქარიქედელი

ჩემი საძღურავი

ჩვენი ერი რო ღვთის ანაბარად არის დარჩენილი, ვგონებ, ყველა დამეთანხმება. ის პატრონობა, რაიცა აქა-იქ, გაზეთებშია, თუ გაგონებით მოგესმებათ, ისე ცოტაა, რომ უპატრონობას ვერ აჯობებს.

ავიღოთ ილიკო ქურხულის წერილები: (იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 9 და 11) დიდის სიამოვნებით ვკითხულობ და თანაც მწყინს, რო ჩვენი შვილი, სხვაგან იღვწის, თითქოს ჩვენთვის მეტი იყოს! ნუ თუ ჩვენი ერი მუსიკალურის მოთხოვნილებით, ან ნიჭით დაბლა სდგას რომელსამე ერზე? ნუ თუ ჩვენი ერი—მდაბიო ხალხი ნაკლებ დააფასებს ილიკოსა? არა და არა!! იმ ექვს შაურს, იმ აბაზს, იმ სალამს და მადლობას ჩვენი ხალხიც აჩვენებს და შესთავაზებს; უსასყიდლოდ და უსარჩოდ არ დარჩება აქაც!

თუ კი იმათ ესიამოვნებათ შუბერტის მოსმენა, ჩვენებს კი აწყენთ? თუ კი იმათ გაუღვიძებს და ჩაუნერგავს მუსიკის სიყვარულს და გემოვნებას განუვითარებს, ჩვენ ხალხს კი აწყენს ამ უკუღმართ და შავბნელს დროში, როდესაც, ვითომ და შეგნებულნი მოღვაწენი, წინ მიუძღვიან ამ გადაგვარების გზასა; არ ერიდებიან არა ქართულ-ეროვნულ სიმღერას, ან გალობას, მოუწერონ ქართულად ლექსნი და ისე მოასმენინონ ქართველთა ვითომ და ქართულია?! აი, სწორედ, ახლა, ამისთანა დროს ეჭირვება სამშობლოს ამისთანა ზილოტი—მოღვაწენი, როგორიც ილიკოა, რომ საქართველო და მთელი საქართლოსიანო შემოიაროს, შეკრიბოს კიდეც რაც დარჩენილია ხალხში და თანაც სკრიპკაზე დაკვრით მოასმენინოს ის საუცხოვო ჰანგები, რომელთა მოსმენა აღუნთებს გულში სამშობლოსა და ერის სიყვარულსა! თანაც რომ სამიოდ დამძახი-მომღერალი ბავშვი ახლდეს, ეს ხომ საუცხოვო რამ იქნება!

ამ გვარად გამოწყობილი ილიკო რომ შევიდეს ჩვენ მოძმეთა—ქართველ მაჰმადიანთ სოფლებში და მოასმენინოს ის სიმღერები, განა ცოტა სარგებლობას მოუტანს ჩვენს სამშობლოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე, გარნა ჩემის გულიდან და გონებიდან ვერ ამოიღია ის აზრი და სურვილი, ნეტავი მომასწრო იმ დროს, მომცეს ვინმე ის შეძლება, რომ გავაკეთო მოძრავი სამოსწავლო ოთახი, კლასი, თვლებზე შედგმული, სოფელ-სოფელ ვიარო სად ერთი თვე, სად სამი და ოთხი თვე, რომ შევასწავლო სიმღერა-გალობა და ანაბანა!

საქველმოქმედო საზოგადოებამ, ან წერა-კითხვის საზოგადოებამ უნდა იქონიოს ამაზედ მსჯელობა; მიიღოს და იქონიოს მხედველობაში ეს აზრი! ღრმად დარწმუნებულნი ვართ, ილიკომ სამის ბავშვით, ჭიანურით და გოგორებით მოძრავი სკოლით, რომ სოფლითი-სოფლად ირონინოს და იმოღვაწოს, დიდ ნაყოფს მოიტანს!

მღ. ვასო კარბელაშვილი

ყვავილები

გლოვის ველი

სძინავს, სძინავს სიკვდილის ველს,
არ აშფოთებს მას გრიალი,
და ოცნებობს გაზაფხულზე,
რომ აყვავდეს კვლავ ტიალი,—
აყვავდეს და აელვარდეს,
მზით ხარობდეს ნამიანი,
ყაყაჩოს ზღვა გადაშალოს,
სისხლით სავსე, ცრემლიანი.
ბნელი ღამე მას შეჰხარის,
სუდარს აფენს წყეულ-კრულსა,
ზეცა ღრუბლით ვარსკვლავს ბურავს,
შიშით შემკრთალს, უფერულსა...
ცელქი ქარი დანავარდობს,
სისინებს და ხან ხარხარებს,
ფიფქ თოვლის მტვერს მკვდრებსა აყრის,
დასცინის და გულს იხარებს:
იქ ჰაერდილი ანგელოსის,
ფრთებ გაშლილი, პირნათელი,
ქვითინებს და დადის, ყივის,
სევდით დნება, ვით სანთელი,
მსხვერპლთ უჩოქებს და ეხვევა,
ცრემლებს აფრქვევს მათ მდუღარეს,—
ისევ დადის და იძახის,
ძილსა უფრთხობს ველს მდუმარეს...
სტირის, ქვეყნად ცით მოსული,
მწარედ გლოვობს ქვეყნის შვილსა,
გლოვობს, მოსთქვამს—ცის კამარას
აწვდენს კვნესას და კივილსა.
მაგრამ ზეცა ალარ ისმენს
და არ იტკენს ჭმუნვით გულსა,—
მიწა ამან მოიძულა
და არგუნა ბოროტ სულსა...
კვლავ ქვითინებს ანგელოსი,
სტირის ქვეყნის ჭირ-ვაებას, —
და გარშემო ბნელი ძალა
ხარობს, ყივის გამარჯვებას...
სძინავს შავ ველს—ესიზმრება
გაზაფხულის დღე მზიანი
და ყვავილი გაფურჩქნული,
სისხლით სავსე, ცრემლიანი...

გაბრიელ გოგუაძე

—

ზაზაფხული

მოდის, მოდის გაზაფხული, ჰყვავის ვარდი, ჰყვავის მდელო,
გულწარმტაცად იქარგება ჩვენი ტურფა საქართველო.
მოდის, მოდის გაზაფხული, და თან მოაქვს სიხარული,—
სხვა სიამეს უნდა შეხვდეს ჩვენი გული, ჩვენი სული;
ჰხედავთ, ჰხედავთ საიმედოთ როგორ ჰყვავის მთლად გარემო,—
ახ, ნეტავი აყვავებულს მუდამ განახავ ტურფავ ჩემო?
თუმც შენს ირგვლივ ჯერ ყინვაა, სიცივეა და ზამთარი,
მაინც მწამს, რომ მოხვალ, მოხვალ, ჩვენთვის ტურფა და ნარნარი!

ალ. კლიმიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდბორუზიკი

პეტრე გაიოზის ძე გაბუნია

ფოთელი, სწავლობდა ფოთის გიმნაზიაში, შემდეგ თბ. სამხედრო სასწავლებელში, მოკლულია ოსმალთ ასპარეზზე 31 იანვარს 1916 წ. დაახ. 18 წ. იქნებოდა.

აპრილის შაირი

ბალჩას ჩაველი და ყვავილებს ვუალერსებდი,
ჩემსავით ობოლს და განწირულს მათში ვეძებდი...
ვეძებდი ყვავილს, ღალატით რო ჩამომჭკნარიყო,
მაგრამ ღიმილით განგმირული მათში არ იყო...
...და კარებს იქით ააკვნესა ვიღაცამ თარი,
ბედ დაკარგული, ვინ სტიროდა წარსულ სიამეს?
მისი ძახილი მივამსგავსე სულის შაირებს,
და მისი სევდა მაგონებდა სამშობლოს ღამეს...
—ახ, ვინ იყავი, შორეულო, მაგრამ თვისტომო,
ვინ მაგრძნობინე სამუდამო ამაოება;
—ახ, რა რიგ მსურდა შენს კალთაში ჩამერგო თავი
და განმეცადა შენთან ერთად უსაზღვროება!..
ახ, სული ჩემი, ღალატით არ გადამჭკნარიყო,
რა იქნებოდა იმ ჰანგებში მთლად დამდნარიყო?!

გ. ლეონიძე

როგორ უნდა დაგივიწყო?!.

(მ. თ—ს)

გარიჟრაჟზე ვარდის კოკორს მზემ რომ ოქროს სხივი სტყორცნა,
შენს ღაწვს მოხვდა, ბროლის ღაწვსა, აღებეჭდა ლალის კოცნა.
ცის გუმბათით ტურფა კორდზე მზემ რომ დასწვა მწვანე მოლი,
შენ შუბლს წარბად გადაეჭდო ორი მსხვილი გიშრის ზოლი.
ღამით მთვარე ბროლის ტბაზე მარმარილოს რომ სდგავს ტახტსა,
ის შენს მკერდს ჰგავს, თეთრსა მკერდსა, საუცხოვოდ დანახატსა,
რომელიც შიგ გულს იფარავს, გულს ულმობელს, სალი ქვისას,—
აბა ერთხელ რათ არ ისმენს ხმას ცეცხლ ნადებ გულის თქმისას?..
შენ ცეცხლი ხარ ჯოჯოხეთის, აქ, ჩემს გულში ანთებული;
იწვის გული სიყვარულის სამსხვერპლოზე დადებული.

გაზაფხულის ბუჩქის ძირას რომ კოკრდება ია ნაზი,
შენის ცრემლით არის ხოლმე ის ყვავილი შენაკმაზი.
როს ლაჟვარდ ცას გადასჭედავს მოკამკამე ვარსკვლავები,
მე მგონია, შენს თვალთაგან მოციმციმებს ის სხივები.
მთის კალთებს რომ ჩამობურავს ყომრალ ნისლთა შავი ზვრები,
მეჩვენება შენს ბროლ ყელზე ჩამოშლილი გიშრის თმები.
ცა—სამყაროს სიტურფეში ყველგან რომ ხარ, „ჩემო სულო“,
როგორ უნდა დაგივიწყო, როგორ უნდა შეგიძულო?..
შენ ცეცხლი ხარ, ჩემო მზეო, აქ, ჩემს გულში ანთებული;
იწვის გული სიყვარულის სამსხვერპლოზე დადებული.

როცა ღამით ვარდის ეშხით სტვენს ბულბული, ნარავს ტკბილად,
ნექტარივით გულში მხვდება შენი ხმა და მიმყრის ძილად.
და ძილშიაც, ვაი ჩემს დღეს, შენი სახე არ მშორდება,
და შორს რომ ხარ,—სევდა მიპყრობს, გული სწყდს და იტანჯება.
ბნელი ჭფარავს ცისკრის სხივსა, შენს თვალებში მოკამკამეს;
ჩემი ყოფა და სიცოცხლე დაემსგავსა უკუნ ღამეს.
მუდამ—მარად შენი სახე არ მშორდება, „ჩემო სულო“,
და მაშ როგორ დაგივიწყო... და მაშ როგორ შეგიძულო?..
შენ ცეცხლი ხარ ჯოჯოხეთის, აქ, ჩემს გულში ანთებული;
იწვის გული სიყვარულის სამსხვერპლოზე დადებული.

გ. ლადოშვილი



სტენის მოყვარე

† ალექსანდ. (საშა) ლო

ნაძალადევის ახალგაზდა სტენის ყვარე, მშრომელი და პატ ნი, დაუღალავი მუშაკი იყო. ლადევის თეატრის საძირკვლის რაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. ძო წარმოდგენებშიაც იღებდა წილეობას. ნაძალადევის სტენ მოშორდა 1912 წ. სამხედრო სახურში გაწვევის გამო. ჭლექი სნეულებული გარდ. 5 მარტს, ძალეს პეტრეპავლის სასაფლაო მარტსა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენ ნო ძვირფასო მეგობარო და ს ხო სტენის უანგარო მუშაკო.

ა. გოგაშვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმანკო მსხვერპლი

† ანნა (ანეტა) თავ. სოლომონ ანდრონიკაშვილის ასული

(17 მარტს შავ ზღვაზე დაღუპული)

ბოლო აღარ უჩანს!..

ბოლო აღარ უჩანს ჩვენი ქვეყნის ვაებასა და ცრემლთა ღვრას, მშობელთა მოთქმასა და ცოლშვილის გამწარებას...

ვინ მოსთვლის რამდენი მსხვერპლი გავიღეთ,—

საერთაშორისო ცეცხლი გუზგუზებს და კოცონს ჩვენებიც ეკეთებიან...

ქართველ მამაკაცის რაინდობასთან ერთად ქართველი ქალის ძველებურ-გმირულმა სულმაც გაიღვიძა, მაგრამ ვაჰ, რომ უნაყოფოდ...

ამ თვის 17 ერთი საზარელი ამბავიც მოხდა.

შავ ზღვაზე რიზესკენ მიმავალ რუსფრანგთა გემ-სამკურნალოს „პორტუგალიას“ მტრის წყალქვეშამ ორი ნაღმი ესროლა, ერთით შუბლი შეუნგრია და გემი შუაზე გაჰკვეთა, რომელიც სწრაფად ზღვაში ჩაიძირა...

გემზე მოწყალების დანიც იყვნენ, დაჭრილ მეომართა საშველად გამგზავრებულნი...

ბევრი მათგანი დაიღუპა...

დაიღუპა, სხვათა შორის, ჩვენი თანამემამულის—თ. სოლომონ ანდრონიკაშვილის ასული ანეტაც, ერთი ღვთისნიერი, სათნო მოწყალების დათაგანი, ჯერ კიდევ ახალგაზდა—24 წლისა...

თავადის ასული ანეტა შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მშვენიერთა მშვენიერი, ფუფუნებაში აღზრდილი, სულით არისტოკრატი, „დიდთან დიდი, მცირესთან—მცირე“, როგორც იტყვიან, სწავლობდა წმ. ნინოს სასწავლებელში...

ომიანობამ გაიტაცა და მოინდომა თვითაც შექმნილიყო „მოწილე საერთო ბედის წერისა“...

შეასრულა მოწყალების დობის კურსი, პირველად ერთ წელს წმ. ნინოს ლაზარეთში მსახურებდა, შემდეგ—ხუთ თვეს ჭოროხში, სადაც ჯარის კაცთა საერთო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავისი კეთილი გულით, დაჭრილ-დაავადებულთა თავგამოდებული მოვლით... ავადმყოფთა მოვლის დროს სამჯერ ხელი გაეკაწრა და სისხლიც მოეშხამა, მაგრამ განკურნების შემდეგ (თუმცა შეეძლო და ურჩევდენ კიდეც სახლში დარჩენას) ისევე ტანჯულ-გვემულთა ზრუნვას დაუბრუნდა...

მას არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი, დინჯი, ერთფეროვანი მუშაობა აქაურ ლაზარეთებში: სახიფათო ბრძოლის ველისკენ გაიკლა თავი, რომ იქ ემუშავნა—საცა უფრო საჭირო იყო, მაგრამ მტრის მახემ მოულოდნელად იმსხვერპლა...

ნათელიმც იყოს ხსოვნა შენი, ჯერ კიდევ გაუხარელო, კაცთა ვერაგობის უმანკო მსხვერპლო, ჩემი წამებული სამშობლოს ასულო ანეტა!..

იოსებ არიმათიელი

ვოლნ. ბ. ნ. ხარტიკაშვილი

ოსმალეთ. ომში დაჭრ. გარდ. ბ. სამხ. ჰოსპ.-ში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოიკოტი

ბიესა სამ მოქ. და ოთხ სურათად

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 11)

VII

ილია ლუკიჩი და სონა.

ილ. ლუკ. სოფია ნიკოლაევნა, თქვენ ერთ საქმეში უნდა დამეხმაროთ, რომელიც თქვენთვისაც დიდ ინტერესს შეადგენს.

სონა. ბრძანეთ, ბატონო ილიკო, ბრძანეთ.

ილ. ლუკ. სოფია ნიკალაევნა, ჩვენი მუშების დღევანდელი გაფიცვა, როგორც მოგეხსენებათ, პირველია ჩვენს ქარხანაში. ისინი თავაზიანნი და მუდამ მორჩილნი იყვნენ თავის უფროსების, მაგრამ ვიღაცა გაიძვერა და ბოროტ ენების წყალობით იმათაც მოუფიქრებლად და შეუგნებლად იფეთქეს. დღეს ისინი წარმოადგენენ ტლანქ ძალას, რომლისთვისაც საკმარისია უბრალო შემთხვევა, რომ იფეთქოს ამ ბრბომ და ერთიანად წაგვლეკოს. ეს გაფიცვა, სოფია ნიკალაევნა, დღეს დღეობით საშიშია, მაგრამ შემდეგ კი უცებ დაცხრება. ჩვენ ამ აბობოქრებულ ძალას უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოთ. ამის გარდა ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამდენი ხალხის გადამტერება არ არის კარგი. ამიტომ მე დიდი ფიქრის შემდეგ გადავსწყვიტე გიორგის მოველაპარაკო, რომ ზოგიერთი მუხლები დაუთმოს მუშებს და საქმე მორიგებით გავათავოთ. თუ ეხლა ბატონი გიორგი დაუთმობს მუშებს, ეს მას ყოველივე ხიფათიდან იხსნის.

სონა. რასაკვირველია უნდა დაუთმოს, თორემ თუ რამე უბედურება შეემთხვა—ფული და ქონება რაღას უშველის!

ილ. ლუკ. მეც ეგრე მგონია, სოფია ნიკალაევნა, და სწორედ ამიტომ მე მოლაპარაკება უკვე დავიწყე მუშების წარმომადგენლებთან და დღეისთვის კიდეც დავიბარე აქ. ისინი საცაა მოვლენ. მე ეს საკუთარი ჩემი მოსაზრებით გავბედე იმ იმედით, რომ თქვენ დამეხმარებით და როგორმე დავიყოლიებთ ბატონ გიორგის... ეს აუცილებლად უნდა მოვახერხოთ, თორემ რომ მოვიდნენ ისინი და ბატონ გიორგიმ კიდევ ძველებურად ყვირილი დაუწყოს, მე მაშინ ცოცხალი ვეღარ მოვრჩები მათ.

სონა. (შეშინებული) უსათუოდ, უსათუოდ უნდა დავიყოლიოთ ბ. ილიკო, თორემ ლამის გავგიჟდე ასეთ მდგომარეობაში. მუდამ შიშსა და კანკალში ვარ. ღამე ვერ დამიძინია... მე ადრე მინდოდა თქვენთან მოველაპარაკნა ამის შესახებ, მაგრამ, მართალი გითხრათ, ვერ ვბედავდი საქმეში გარევას. (გამოდის გიორგი)

VIII

ილია ლუკიჩი, სონა და გიორგი.

გიორგი. (ძალიან დაფიქრებული გამოდის და სავარძელში ჯდება) არა, რაღაცა არაა ჩემს თავს კარგი. ქვეყანა გადამემტერა, ხმას აღარავინა მცემს. ყველა, გარდა რამდენიმე კაცისა, ზიზღით მიყურებს. უკანასკნელი ხელზედ მოსამსახურენიც კი, რომელნიც თითქმის ჩემთან აღიზარდნენ, ისინიც გამიდგნენ და ზიზღის თვალით მიყურებენ. ამდენი პირობები შესასრულებელი მაქვს. ვადაზე საქონელი უნდა ჩავაბარო და აქ კი ასეთი მედგარი გაფიცვა და ბოიკოტი. ახ, ერთი ვიცოდე დანამდვილებით ვინ უმაგრებს წელს, ვინ აჩვენებს გზას, რომ თოკზე ჩამოვაკიდინო...

სონა. ნუ შფოთავ, ჩემო გიორგი, დაწყნარდი. ბატონ ილიკოს ერთი რჩევა აქვს შენთან და მოუსმინე. დაუჯერე, როგორც უფრო ახლო მდგომ პირს მუშებთან.

ილ. ლუკ. (გიორგი ჩაფიქრებულია) ბატონო, გიორგი, ეხლა სწორედ მე და ქალბატონ სონას ამ საგანზე გვქონდა ლაპარაკი და თქვენც უნდა გაგიზიაროთ. ჩვენი ქარხნის მუშებში ჯერ კიდევ ადვილია საქმის მოგვარება, რადგან ისინი მხოლოდ ახლა გამოფხიზლდენ. ეს გაფიცვა პირველია მათთვის და არც საშიში, მტკიცე ორგანიზაციაა მათში. თქვენ თითონ სთქვით, ბატონო გიორგი, რომ წინეთ თავაზიანნი და ზრდილნი იყვნენო. დიახ, თავაზიანნი და ზრდილნი არიან ეხლაც. დღეს თუ შესცდნენ და გაიფიცნენ, ეს სხვისი შთაგონებით, სხვისი წაქეზებით. დღეს ისინი უბრალო იარაღი არიან რამდენიმე კაცის ხელში, რომელნიც როგორც უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ ისე აცეკვავებენ და ათასნაირ ზიზღს და შურს სთესენ მათში თქვენს წინააღმდეგ. ნათქვამია: „მოვიდა სეტყვა—დახვდა ქვაო“. მართალია ისინი ოსტატობენ, მაგრამ არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ. აი, სწორედ ამ დროს, როდესაც ამ ცხვარივით ხალხს თქვენზედ ცუდს ელაპარაკებიან ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ საბაბიტაციო მასალა და კიდევაც რომ ვიზარალოთ, ჯერჯერობით უნდა დავაკმაყოფილოთ, რათა აშკარად დავანახოთ მუშებს, რომ ის რასაც მათ ელაპარაკებიან არ არის მართალი და მით იმ საცემბიროების აგიტაციას ნიადაგი მოუსპოთ. საქმის გამწვავება და გაგრძელება, ბატონო გიორგი, ყოველივე იმ ცუდ ნალაპარაკევს დაადასტურებს. ჩქარა საქმის გათავება და მორიგება კი ყოველივე ცუდ აზრს თქვენ შესახებ გაჰფანტავს. დაუთმეთ, ბატონო გიორგი, რამდენიმე მუხლი დაუკმაყოფილეთ და მორიგებით გაუთავეთ საქმე. ამას ისინი თავის გამარჯვებათ მართალია ჩასთვლიან, მაგრამ ნამდვილათ კი დამარცხებულნი გამოვლენ და რატომ გამოვლენ დამარცხებულნი, ამასაც მოგახსენებთ. როცა ქარხანას ნელად, ოსტატურად და ზრდილობიანად გავსწმენდთ იმ სათოკეებისაგან, რომელნიც დღეს ამხნევებენ გულუბრყვილო მუშებს, როცა მაგნე სულებს მოვიცილებთ, მაშინ თუ გნებავთ მათემატიკურად დაგიმტკიცებთ, რომ ჩვენ ეხლა თუ დაუთმობთ წაგებული არ ვიქნებით.

სონა. შენ გენაცვალე, ჩემო გიორგი, დაანებე თავი ამ ჯიუტობას, თორემ მე მეტი აღარ შემიძლიან.

გიორგი. დაანებე ჯიუტობას თავი, წადი დათმობის გზაზედ. მერე ჩემი სახული, ჩემი პიროვნება ხომ გაითელა ფეხქვეშ. არა, არ შემიძლიან. მე ამას ვერ მოვითმენ. (წამოდგება და დადის აღელვებული)

ილ. ლუკ. ბატონო გიორგი, მე თქვენზე მეტათა ვარ გაჯავრებული. მაკვირვებს მათი თავხედობა, მაგრამ, ვიმეორებ, დათმობა აუცილებელია... დღეს, როდესაც მუშათა რაზმი ბობოქრობს, უცბათ დაჯახება საფრთხილოა. შემდეგ, როცა საქმე დაწყნარდება, ნელნელა, თვეში ორი ან ერთი მაინც მოთავეთაგანი დავითხოვოთ ქარხნიდან და ამ ნაირად ჩვენს მუშებს ჭირისუფლებს მოვაკლებთ. დღევანდელ მიცემულ უფლებებს ისინი ვერც კი გაიგებენ იმ სახით გამოვგლეჯ ხელიდან, მე ყველა იმ ჯანყის თავების სახელი და გვარი აი აქ გულის ფიცარზედა მაქვს აღბეჭდილი. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე მე ისინი გავასვენო ქარხნიდან და ანდერძი აუგო. თქვენ ეხლა დამთანხმდით, დაუთმეთ და შემდეგ ჩუმის და ფრთხილის ნაბიჯით მათი აღმოფხვრა მე მკითხეთ.

სონა. შენ გენაცვალოს შენი სონა ეს შავი ფიქრები თავიდან მომაცილე. რაღაცა ცუდ სიზმრებსა ვხედავ.

გიორგი. (იდგა ლუკიჩს) მრწამს, ჩემო ილიკო, შენი გულწრფელი რჩევა და იმედიც მაქვს, რომ დაპირებას შეასრულებ, მაგრამ დღეს მე რა ვარ! ძლეული, თავლაფდასხმული, ქვეყანაში შერცხვენილი! მერე ვისგან, ვილაც მურიანებისაგან!

ილ. ლუკ. აქ სასირცხვილო არა არის რა, ბატონო გიორგი. მაგალითი მარტო თქვენ არა ხართ. ეს დამარცხება კი არა ჩვენი გამარჯვება იქნება, რადგან ამიერიდან უფრო ფრთხილად ვიქნებით და იმისთანა ავაზაკები აღარ შემოგვეპარებიან... მე პირობის ზოგიერთი მუხლები შევიმუშავე... აი ნახევით და თუ მოგეწონოთ, ამ ფარგლებში ვიმოქმედებ. (აძლევს შემუშავებულ პირობების ქაღალდს) მე მუშების წარმომადგენლები დავიბარე და საცაა მოვლენ კიდეც. ზოგი თქვენ დაუთმეთ, ზოგი მათ და მშვიდობიანათ მოვარიგოთ საქმე. ხომ ჰხედავთ, ბატონო გიორგი, დღევანდელი დეპეშა რას გვეუბნება. საქონელი დროზედ უნდა ჩავაბაროთ, თორემ წარმოუდგენელ ნეუსტოიკას გადვიხდით. (ისმის ზარის რეკა) მგონი მუშების დელეგატები უნდა იყვნენ.

გიორგი. (იდგა ლუკიჩის მიერ შემუშავებულ პირობის მუხლებს კითხულობს. მისი რჩევა სწრის, გიორგი სთანხმდება, მაგრამ ეფუმანობს. მოუბრუნდება იდგა ლუკიჩს და გულამოსკვნით ეუბნება.) კარგით, ილია ლუკიჩ, როგორც გინდათ ისე მოიქეცით. თქვენ მოელაპარაკეთ, თორემ მე მათი დანახვა სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს მიწამლავს. მე არ დამანახოთ ისინი თვალით. (გადასცემს პირობის ქაღალდს)

ილ. ლუკ. არხეინათ ბრძანდებოდეთ, ბატონო გიორგი, თქვენ დაწყნარდით გეთაყვა და საქმეს მე მოვაგვარებ.

გიორგი. პირობა კაბინეტში შემომიტანეთ ხელმოსაწერად (გიორგი და სონა გადიან)

ილ. ლუკ. დიდი სიამოვნებით. (გადის)

ფ ა რ დ ა

(შემდეგი იქნება)

გოგია

საწადელს მიაღწიეს...

ამას წინად ქუთაისში გამოვიდა „ცისფერი ყანწები", გაზაფხულის ალმანახად მონათლული და... ატყდა განგაში.

ახლა რომ ვუკვირდებით, საჭირო კი იყო სიჩუმით ჩაგვეტარებინა ამ ალმანახის გამოსვლა.

ალმანახისტები დიდათ ყოყოჩა ხალხი აღმოჩნდა: ჩვენა ვართ, რაცა ვართო! ჩვენიდან უნდა დაიწყოს ქართული ლიტერატურის აღორძინება, ყოველივე, რაც იყო—უნდა დაინგრეს, უნდა დავიწყებას მიეცესო. და... თავის ქება, პირდაპირ საწყენი, შეურაცხმყოფი.

ღმერთო, როგორ ყოველივე არ ახალია, ძველია ამ ქვეყნად: რომელი ჭაბუკია ისეთი არა ჰგონებდეს, რომ ქვეყნის სიცოცხლე მისგან იწყება?! ეს თვით ცხოვრების კანონია. მაგრამ ჩვენ, შემყურებელნი, ყოველთვის, როდესაც ახალი ვინმე მოგვევლინება, კრიტიკულად შევცქერით—აბა, რა ახალ-ახლების პატრონნი გამოგვიჩნდნენ? ვინ არიან? რითი მოდიან?

„ცისფერ ყანწის" პატრონებს მოაქვთ თურმე ლოთობა, ორგიასტობა (თავდაუჭერელი, სქესობრივი აღტყინება) და ნგრევა და განადგურება ყოველივეერის, რაც შეუქმნია წინანდელ კულტურას. აღარა სწამთ შექსპირი, მოსწყინდათ „ღვთიური დანტე", ერუ არის მათთვის ბეთჰოვენი.

როგორც ხედავთ თამამი სიტყვებია და ეს არის კიდეც მათი უმთავრესი, ნიშანდობლივი თვისება.

სითამამე, უტიფრობა! რაც შეიძლება მეტი უტიფრობა! ეს... შთაბეჭდილებას ახდენს... ამას მაინც გათქმევინებთ—ვინ არიან ეს ახალგაზრდებიო!

იმათაც მეტი არაფერი უნდათ და კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტენ: ოჰო, შთაბეჭდილება ხომ მოვახდინეთო!

თვითონ კი „გამთბარი კატითა" და „შავი ძაღლის ყნოსვითა" შემოდიან ჩვენს ლიტერატურაში. თან, საცა უნდა და არ უნდა, საქართველო აკერიათ პირზე. ვითომ მისი კეთილდღეობა, მისი ხელოვნების აყვავება! ეხლა ხომ მოდაშია საქართველოს წამდაუწუმ ხსენება და ეს ახალი რაინდებიც ეგრე იქცევიან.

მერმე რამე ორიგინალური, ან ქართულ ნიადაგზე ახლად აღმოცენებული მაინც შემოეტანათ! არა, მათ გადმოიღეს ძალიან მკრთალად და ძალიან უნიჭოთაც ფუტურისტული მიმართულება ევროპისა. მაგ. ბ. პაოლო იაშვილის „პირველ-თქმა" და ტ. ტაბიძის „ცისფერ ყანწებით" იტალიელ, ცნობილ ფუტურისტ მარინეტის მანიფესტის უხეირო გადაღეჭვაა, შეკვეცილი და შეკრეჭილი, რომელსაც ამათ ხელში თავისი სიმწვავეც დაუკარგავს და თავისი ნიჭიერებაც. თუნდა ერთ წამს შეურიგდეთ კიდეც მათ გაჩენას ჩვენს ქვეყანაში, ნუ თუ მეტი ორიგინალობის გამოჩენა არ შეიძლებოდა, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ეს ახალგაზრდობა უფრო „მთვრალები და მეგირალებია" და ამითი უნდათ კიდეც გაიტანონ ბურთი ღელოზე.

ერთხელ ჩეხოვმა სთქვა რუსის დეკადენტებზე: ისეთი მრთელი და ყოჩაღი ბიჭები არიან, რომ შენი მოწონებული, მხოლოდ განგებ იგრიხებიან და იმანჭებიანო. ისე ხდება ახლა ჩვენშიაც. ყურადღების მიქცევაც უნდათ. ერთგვარი პოპულიარობა და... აი მიაღწიეს კიდეც საწადელს.

უკვე ოთხი თუ ხუთი სერიოზული წერილი გამოვიდა მათ შესახებ. პრესა ალაპარაკდა და ახლა მკითხველს გაზეთებიდან ეცოდინება, რომ ქუთაისში 9 მარტს თეატრს ფონდისათვის გადებულ „კაფეში" ლაზათიანი სკანდალიც მოხდა. ესტრადაზე გამოვიდნენ თავიანთ ლექსების წასაკითხად პ. იაშვილი და გაფრინდაშვილი. დამსწრე საზ-მ არ ინდომა მათი მოსმენა და ამაზე ბ. იაშვილმა საზოგადოება გამოლანძღა რუსულად. მან მძიმე სიტყვები იხმარა, აზრი კი

ეს იყო—სასოგადოების აზრს ანგარიშს არ ვუწევთ, თავი მოგვწონს კიდეც, რომ ჩვენი არა გესმით-რაო! დახედეთ რა ეოუოჩობაა! ვითომდა თქვენ ეველანი წვრილმანნი ხართ, ჩვენსას რას გაიგებთო!

არა, მადლიერი შთამომავლობა მოგიხსენიებთ თავის დოცვებში?!.

მაგრამ ეველაზე უფრო საწყენი ის არის, რომ ერთი დამსახურებული ლიტერატორიც გამოვიდა იმ დამეს მათ ქომაგად და გვამცნო სრულიად ახალი ამბავი: ასე ეოფილა, ასე იქნებაო! იდია და აკაკისაც მათ ახალგაზდობის დროს წინააღუდგა ძველი თაობა, მაგრამ ხელავთ შემდეგში მისთანათა გაიმარჯვესო. ახლა ესენიც ეგრე დაწუნებულნი არიან, მაგრამ მომავალი მათიაო!

შესედეთ რა მშვენიერი სიტეეებია! რა მარტივი და მართალი. მაგრამ კაცმა ხომ უნდა იცოდე სად და რისთვის ლაპარაკობ... „ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისა“. ესეთი შემკობა და გალაღება „ლოთთა და ორგიასტთა“, რომელთაც გარდა სქესებრივ ყინის მოკვლისა არა მოაქვთრა მომავლისთვის, ბირდაბირ დანაშაულია. „ცისფერ-უანწისტებსა“ კი უსაოუოდ ამ განგაშის, სკანდალისა და ზემოთქმულ მწერალის გამხნევების შემდეგ მართლა ჭკონიათ, რომ მართლაც რალაც სწორი და გზიანი გააკეთეს, რომ მართლაც მათი გამოსვლა ეს მამა-შვილთა სასტიკი შებრძოლებაა... რათა? რათ არ შევიცოდებთ თვით მათვე? ისედაც გზადაბნეულებს კიდევ უფრო რათ ვუბნევთ გზა და კვალს?

ჩვენს ლიტერატურას დიადაც სჭირია განახლება, ახალი სალებავების მოძებნა, თუ გნებავთ ახალი სტილის შემუშავება, მაგრამ არა გარეგნიდების გზით, არა შავი კიბით შემოსვლა, არამედ იმ სოცნებო და სხივ-მფეფინარ ჭიშკრიდან შემოსვლა, რომელიც თვალის მოჰეტრელად განათებულია მზე-რუსთაველისაგან და აკაკი, ვაჟა და ბარათაშვილის ტეტხლებრივ ნიჭით.

აქ გამოსძებნეთ თქვენ ახალი სახეები ადამიანი იმიტომ არის ეგეთი უცხო არსი და მისი ხელოვნება მათ არის ეგრე დიადი და გამტანებელი, რომ არ აქვს საზღვარი მის სხვა და სხვაობას, მის განცდათა მრავალ-ფერობას... მზე ეოფელთვის ადმოსავლეთით ამოდის ხალხე და ამას ვერ გაბრუნებთ ვერას გზით, ამასთან ეგ მზეც, რაც ადამიანი გაჩნდა მას აქეთ იმდენიარად და იმდენისაგან არის განცდილი და ადწერილი, რომ თითქო სხვა რადა ითქმის, მაგრამ მაინც დაუშრეტელია სალებავი ადამიანის გულსა და გრძნობაში ჩამდინარებული და ამ სიწმიდეს უნდა იქიდან ხელახალი ამოდება, რომ ეგეგე მზე სულ ახალის სალებავით ადნიშნო და არა ბნელ ქვენა გრძნობათ, რომელთაც ქალაქების და ოუნდ ბარიზის ელექტრონით განათებული სხვა და სხვა „მუდენები“ ჭქმნიან და სქესებრივ ადტეინების ყამს „გამთბარი“ სარეცელი წარმოშობს...

არ არიან საშიშარნი ეს ემაწვილები, მაგრამ ძალით გასაშიშროებთ და აი რა არის საწყენი.

ეს განგაში, ეს სკანდალები კი მათ ერთგვარ რეკლამას უწევს და იმათაც მეტი არა უნდათრა:

საწადელს მიაღწიეს.

მხოლოდ სანუგეშო ის არის, რომ წუთიერია ეოფელივე ეს და ხალხი და ცხოვრება მათ ვერც გაიცნობს ისე უარსა ჭეოფს.

შეიძლება ეს მოხდეს—ზოგი ახალგაზდა მოიწამლოს ამ „სითამამით“, ამ „მეეიერალობით“. ეს კი საგალალოა, როდესაც ეოფელი ძალა, ენერგია ჩვენ სათვალავად გვაქვს და ესე გვჭირდება სხვა უფრო დიდი საქმისათვის. მაგრამ თუ ეს მოხდება, დეე, ცოდვა მათ კისერზე იყოს, ვინც ამ „რეკლამებს“, შეიძლება უნებლიეთაც, უკეთებს ამ „ცისფერ“ ემაწვილებს. ემსხვერპლოდ ხომ არა გაკეთებულარა. ამ ეგრეთიუდმა დუეეაც ეტეობა უნდა ჩამოყონოს ჩვენში და იმითაც ვინუგეშო, რომ მას ჩვენი მზე თავისთავად გაანრობს...

მა-თ-განი

P. S. ამბობენ კიდევ გამოვა მეორე № „ცისფერ ყანწებისა“. დარწმუნებულნი ვართ კიდევ მეტი უტიფრობით, მეტის სითამამით იქმნება მართულ-მოკაზმული ადამიანი. მაგრამ ერთ რასმესაც ვურჩევდით: სურათის სილრეულისათვის შემოიდონ სახეების მძვანეთ შედებვა, ეკვიდების თუ სხვა მოსაზეულობათა დახატვა დაწვებზე. თან ჩაცმეულობის განსხვავება, ქალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსში ვაჟი გამოწყობილი, შალვარი მხრებზე წამოცმული. ევროპას და რუსეთშიაც ეგრე იცო. თუ სითამამე—ბარემ ბოდომდის... ეს კიდევ მეტ და დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს...

მ.

ოტელო ქართულ სცენაზე

7 მარტს ქარ. დრამ. საზ-ის დასმა დასდგა უკვდავი უ. შექსპირის ტრაგედია „ოტელო“. პიესამ სუსტად ჩაიარა. ჩვენ ვერა ვნახეთ შექსპირის სრული ნაწარმოები, ჩაუღაპეს ჩვენმა მსახიობებმა დიდებულ დრამატურგის შემოქმედება. გამონაკლისს მხოლოდ ალ. იმედაშვილი შეადგენდა. მხოლოდ ეს მსახიობი დაუახლოვდა ცოტად თუ ბევრად შექსპირის უმთავრეს გმირს. მისი ოტელო, ჩვენის აზრით, დიდი ხნის შესწავლის და მომზადების ნაყოფია. ჯერ ყოვლის უპირველესად საყურადღებოა ის, რომ მსახიობი შეგნებით თამაშობს როლს და ოტელოს პიროვნებაც შეუსისხლხორცებია. ყოველი ნაბიჯი, მიხვრა-მოხვრა აწონილ-დაწონილი აქვს. ამას გარდა ალ. იმედაშვილს ამისთანა მგზნებარე ცეცხლი, ტემპერამენტი ჯერ არც ერთ ტიპის დახასიათებაში არ გამოუჩენია. ჩვენ თვალწინ იგი პირდაპირ გარდაიქმნა და ნიჭიერ ხელოვანად გვაჩვენა თავისი თავი. მხოლოდ ეს კია, რომ მისი ოტელო ჯერ მაინც სრული არ არის. მსახიობს ღალატობს კვლავ პლასტიკა. შეიძლება ბევრს ეგონოს, ვითომ ვენეციის მავრისათვის პლასტიკა არ იყოს საჭირო, მაგრამ ჩვენის შეხედულობით, როგორც ყოველ როლისთვის ისე „კაზმულ ლაპარაკს მოკლებულ“ ოტელოსთვის თავის ერთგვარი პლასტიკა აუცილებელია. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სცენა ხელოვნებაა და ხელოვნება, როგორც ვიცით, ცხოვრებაზე დამორებულია. ის რაც ცხოვრებაში ბუნებრივია, იმ სახით გადმოტანა ხელოვნებაში, ყოვლად შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა თვით ხელოვნების პირობებს, მის მოთხოვნილებას გავუწიოთ ანგარიში და მისი დანიშნულება ისე დავაკმაყოფილოთ. მით უფრო მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სცენა, სადაც ხელოვნება უფრო ლამაზია, ნაზი და მეტ სიფაქიზეს მოითხოვს. აქ ცხოვრება ისე უნდა იყოს გადმოცემული, რომ იგი თვალში არ გვეცეს თავისი სიტლანქით. არ უნდა იყოს იგი მოუხეშავი და დამახინჯებული სურათი. ხელოვნების ერთ-ერთაგანი დამახასიათებელი იარაღი არის პლასტიკა. ალ' იმედაშვილის გადმოცემაში ჩაიხრჩოლა მშვენიერი ადგილები, სადაც მხოლოდ მშვენიერ პლასტიკას შეეძლო დაენახვებინა ტრაგედიის სილამაზე, სიმშვენიერე, ოტელოს სულის კვეთება. მაგალითად 3 მოქმედებაში მონოლოგს: „მშვიდობით, სპანო ჯილოსანნო, დიდნო ბრძოლანო, თავ-მოყვარების სათნოებად გარდამქცეველნო!“ და უკანასკნელ მოქმედების მონოლოგს: „აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი!“ დრამატიულ განცდა-ემოციას სათანადო პლასტიკაც უნდა დაჰყვეს ზედა, რაიც მაყურებელში, თუ კარგა იქმნა შესრულებული, უზომო სიამოვნებას და ესთეტიურ სიტკბოებას გამოიწვევს. ამისთანა ადგილები ბევრია როლში, მაგრამ მსახიობმა სრულიად ჩაყლაპა!

მეირხოლდი ამბობს: სალვინი ოტელოს შესრულებით გასაოცარ განცდასთან ერთად გვაოცებდა თავის გასაოცარ პლასტიკითაცაო! მაგ. დავასახელებთ კიდევ რობერტ ადოლჰეიმს და დალსკის. ვისაც ეს მსახიობნი უნახავთ ოტელოს როლში, უეჭველია მათი პლასტიკით გაოცებული იქნებოდნენ. მაგრამ ამის მიუხედავად ალ. იმედაშვილის თამაშმა მაინც ძლიერ გვასიამოვნა და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა საზოგადოებაზე. განსაკუთრებით კარგი იყო მეორე და მესამე მოქმედებებში, შესამჩნევად მოისუსტებდა მეოთხე და მეხუთე მოქმედებებში, თუმც უკანასკნელის ფინალის სცენამ გამოაკეთა შთაბეჭდილება, მშვენივრად მოიკლა თავი და ჯეროვანი შთაბეჭდილებაც დასტოვა. აღსანიშნავია მსახიობის მკაფიო დიქცია.

იაგოს როლს თამაშობდა ბ. კორიშელი. ამ როლმა ჩვენს სცენაზე ვერ იპოვა ღირსეული შემსრულებელი, ვერც ბ-ნმა კორიშელმა შესძლო მასთან დაახლოვება. იაგოს ვერაგობის და გაიძვერობის დახასიათებაში საჭიროა მეტად მძლავრი ხაზები. ამისთვის მსახიობს მდიდარი მიმიკა უნდა ჰქონდეს და კარგი მოქნილი ხმა, რომ შესძლოს იაგოს ათას გვარის ინტონაციის და სახის მეტყველობის გადმოცემა. ძალაუნებურად მაგონდება შესანიშნავი ტრაგიკოსი რაფაელ ადელჰეიმი, რობერტის ძმა. საუცხოვო იაგო იყო. რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცნაირ დემონიურ ძალით ასახიერებდა ამ ტიპს, თვითეულ სიტყვას, იქ სადაც ოტელოს გულს აწვებს უნერგავს, როგორც ასპიტი გველი, ისე უსხამდა საშინელს გესლს. ეს მსახიობის მთელი იმპროვიზაცია იყო! რასაკვირველია ბ-ნი კორიშელი ამისთანა მხატვრულ კონცერტრაციას ვერ შექმნიდა. ჩვენ წინადაც გვქონდა აღნიშნული და ეხლაც ვიმეორებთ, რომ იაგოს როლი მსახიობისათვის შეუფერებლად მიგვაჩნია. ბ-ნი კორიშელი ჩვენი სცენისათვის ძალიან სასარგებლოა, საჭიროა მსახიობმა თავის რეპერტუარს მიაქციოს ყურადღება და თავისი სფერო შექმნას.

არ ვიცით ქ-ნ ქიქოძეს რად მისცეს დეზდემონას როლი, ან თითონ რად იკისრა ასეთი მძიმე ტვირთი. ასეთი სუსტი დეზდემონა ჩვენ ჯერ არ გვინახია. სრულიად გაქრა შექსპირის ჭაღრთვანი, მშვენიერი დეზდემონა. არა, ქ-ნ ქიქოძეს ეს როლი არ უნდა ეთამაშნა.

დანარჩენები მოისუსტებდნენ.

პიესა, როგორც სახალხო სცენის დეკორაციებს შეეფერება, კარგა იყო დადგმული. მხოლოდ რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილს მხედველობაში უნდა ჰქონოდა უკანასკნელი სურათი. ასე სინათლის გაჩაღება საწოლ ოთახში შეუძლებელია, ისიც, როცა დეზდემონა უკვე ლოგინში წევს. აქ საკმაო იყო ღამის პატარა სანათი, სადაც ოთახი ბუნდოვანი იქნებოდა და ერთგვარ მისტიურ ელფერს მისცემდა სურათს. ამას გარდა საჭიროა ბ-ნმა ანდრონიკაშვილმა მსახიობების გრიმებს მიაქციოს ყურადღება, თორემ არც ერთ მათგანს გრიმის გაკეთება არ სცოდნია.

სამწუხაროდ კიდევ უნდა აღვნიშნოთ ჩვენი საზოგადოების თავდაუჭერლობა. მაღლა ქანდარაზე—ყვირილი, დაბლა პარტერში—ჩურჩული! მოდით და თქვენ მოისმინეთ პიესა. იმ საღამოს ხომ წრეს იქით გადავიდა ზოგიერთების საქციელი. უკანასკნელ მოქმედებაში იძულებულნი გახდნენ შუაგულს წარმოდგენა შეეწყვიტნათ. ფარდა ჩამოუშვეს, აღელვებული ბ-ნი ანდრონიკაშვილი გამოვიდა და გამოაცხადა, რომ ყოვლად შეუძლებელია წარმოდგენის მსვლელობა, თუ წესიერებას თვით საზოგადოება არ დაიცავსო. მართლაც და ასაშფოთებელია ასეთი მოვლენა. უნდა ერთხელ და უკანასკნელად აილაგმნენ ეს ვაჟბატონები, რომელნიც მთელ ქართველობას მწიკვლს სცხობენ თავისი საქციელით. ერთიც ვნახოთ, სწორედ იმ საღამოს, ვინმე უცხო პირი დასწრებოდა ჩვენს წარმოდგენას, რა შთაბეჭდილებას გამოიტანდა?!.

ვ. გარრიკი

ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა)

მისი ახლანდელი მდგომარეობა და განვითარება

(სახალხო სახლში 31 იანვარს წაკითხული ავტორის მ. კავსაძის მიერ)

თავი პირველი

ა, მშობლიურ მუსიკის მნიშვნელობა, დაფასება და მისი გავლენა სხვაგან და ჩვენში; ბ, ქართულ სიმღერა-გალობის ახლანდელი მდგომარეობა; გ, ჩვენი სამღვდელოება და საეკლესიო გალობა; დ, ჩვენი პრესა და ქართული მუსიკა; ე, ქართველი მუსიკოს-კომპოზიტორნი, მათ-მიერ დამუშავებული სიმღერები, საგალობლები და ოპერები.

რუსეთში და საზღვარ გარეთ მშობლიურ მუსიკას, სახალხო სიმღერა-გალობას პატივისცემით, ხალისით ეპყრობიან და ემსახურებიან. დიდსა და პატარას იგი აუცილებელ დარგად აქვს დასახულ-მიღებული, როგორათაც კეთილშობილური, ადამიანის გულისა და სულის დამამშვიდებელი, გონებრივად, ესთეტიურად და ზნეობრივად განმავითარებელი დარგი ხელოვნებისა. სიმღერა-გალობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ნამეტნავად ბავშვებისათვის. სიმღერა-გალობა ბავშვს დიდ სიამოვნებას, სიცოცხლეს, ხალისსა და სიმხნევეს ჰმატებს, და არც ის დედ-მამანი მოსტყუვდებიან ჩვენში, თუ თავიანთ შვილებს დაბადებიდანვე „ნანინათი“ და მშობლიურ ჰანგების ზეგავლენით აღზრდიან: ყოველი ბავშვი, რომელიც აღიზარდება თავისი ერის სიმღერა-გალობით, მუდამ თავის თავს იცნობს, შეიგნებს და შეიყვარებს თავისს მშობელ ერას, შეისწავლის წარსულს და მომავალზე იფიქრებს!

საერთოდ მუსიკას და კერძოდ კი მშობლიურ სიმღერა-გალობას ასეთი ნაყოფიერი გავლენა აქვს არა თუ ადამიანზე, არამედ პირუტყვზედაც კი. მრავალ მეცნიერის და დიდებულ კომპოზიტორ-მუსიკოსის მიერ დამტკიცებულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა როგორ იმორჩილებს ნადირ-ცხოველს. და, ამიტომაც ამ ხელოვნების დარგს შეგნებული და განვითარებული ერები მაღლა აყენებენ და დიდს მნიშვნელობასაც აძლევენ.

ჩვენში კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის ასე!..

ყველამ უწყის რა დღეშიც იმყოფება დღეს ქართული ენა და, თუ კარგად ჩავუკვირდებით, უარესს დღეშიაა ჩვენი მუსიკა, სიმღერა-გალობაც.

სიმღერა-გალობის საქმე რამდენათაც სხვა კულტურულ ერებში, მაგ. იტალიასა, ფინლიანდიასა, ჩეხიასა, უკრაინასა და რუსებშიაც კი განვითარებულია და ფასი აქვს, იმდენად ჩვენში დაცემულია, და შეიძლება თავისუფლადაც ითქვას,—„აბუჩად არის აგდებული“,—ეგრედწოდებულ ჩვენი ქართველ „მოინტელიგენტე“ და უფრო არისტოკრატიულ, მოწინავე წრეების მიერ. ბევრს არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვს, რა ნაყოფის მოტანა შეიძლება ხალხის ცხოვრებაში მშობლიურ მუსიკის წყალობით. თითქმის ყველგან გამოდევნილი ქართული სიმღერა-გალობა, მეტ საგნად და ბარგად მიგვაჩნია; ასე გასინზეთ, ვერც ერთ საზოგადოებას ჩვენში, ვერც ერთ მოღვაწეს, ქველმოქმედს, კერძო, სასულიერო, ან საერო პირს ვერ დავასახელებთ, რომ ამ მეტად სიმპატიურ და წმინდა საქმისთვის თავი გამოედოს, ან გროში შეეწიროს, მზრუნველობა, ან უბრალო დახმარება გაეწიოს (ნუ დაგვავიწყდებათ კი, რომ ყოველ ნაბიჯზე სიმღერა-გალობის მოთხოვნილებაა!) და ვინც კი რამე გაიმეტა, ფრიად უმნიშვნელო და ისიც უსარგებლოდ, რომლის ანგარიშიც კი არ მოითხოვა, არ იკითხა: ვის მისცა, რათა, რისთვის, რას და როგორ მოხმარდა: ქართულ მუსიკის აღორძინებასა თუ ჩინურისას?..

მ. კავსაძე

(გაგრძელება იქნება)

რედაქციისაგან

„**თეატრი და ცხოვრების**“ წლიურ ხე[illegible]ის მომწერთ ვსთხოვთ, ფულის გამოგზავნა დააჩქარონ. **ვინც ხვალდ ფულს არ** გამოგზავნის, მომავალი ნომერი **აღარ გაეგზავნება**. ფული უნდა შემოიტანონ „სორაპნის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძულზე, № 1), ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.



ლაგოდეხის საპოლკო დარბაზში, კვირას 28/II, სონ. ნარეკლიშვილისა და ან. პეტრიაშვილის მეთაურობით პატარა ბავშვებმა გამართეს საბავშო წარმოდგენა—საღამო სამ განყ.: I განყ. წარმოადგინეს სცენა დ. კოპალის „აკაკის საფლავზე“ და ე. გაბაშვილის „ფრთებ დაგლეჯილი“. ბავშვებმა პიესები კარგად ჩაატარეს. ყველანი კარგად ასრულებდენ თავთავის როლებს. მონაწილეობას იღებდენ: გ. ყანჩაშვილი, ს. ყორღანაშვილი, ვარო. ყანჩაშვილი, თამ. გედევანოვი, ვერ. ღვინაშვილი, ნად. ჯანაშვილი, ლიდა ჩიკვაიძე, ნინა თარალაშვილი, ანეტა დონჯაშვილი, ვარ. ბარდაშვილი, ვარ. მათიაშვილი, მარ. ნარეკლიშვილა; II განყ. წაიკითხეს ლექსები, III განყ. ითამაშეს ლეკური. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

აღსანიშნავია რომ ამ პატარა ბავშვებმა თავისით განიზრახეს ამ წარმოდგენა-საღამოს მოწყობა საქველმოქმედო მიზნით: „ძია, რასაც ფულს ავიღებთ სამკითხველოს უნდა შევსწიროთ“-ო. პატარებმა მოისურვეს თვისი წვლილის შეტანა ამ საგამნათებლო ტაძარში და კიდეც შესწირეს სამკითხველოს წარმოდგენაზე შემოსული 15 მ. 25 კ[illegible]ეს სიმპატიური საქციელი ჯერ კიდევ პატარა ბავშვების თვით განვითარების ნიშანია და მისაბაძი მაგალითი (უმრავლესობა სამრევლო სასწავლებლის მოწაფენია, ზოგი სახლში წერა-კითხვა ნასწავლი.)

უსურვებ პატარა ქალებს სიცოცხლეს და ბედნიერებას ასეთი კეთილი მიზნის განზრახვა-შესრულებისათვის.

—გერო—

ავლაბრის წარ. მართ. გამგეობამ კვირას, 20 მარტს წარმოადგინა შექსპირის 5 მოქ. ტრ. „ოტელო“. ოტელოს როლი მშვენივრად შეასრულა ალ. იმედაშვილმა, მიუხედავად იმისა, რომ შეუფერებელ პირობებში თამაშობდა. ქ. ქიქოძე (დეზდემონა) მოიუფერულებდა, დანარჩენნი მეტისმეტად მოისუსტებდენ და თითქოს რაღაც შიშით იყვნენ შეპყრობილნი. კარგი იქნება წარმოდგენა ადრე დაიწყონ და ადრეც გაათაონ ხოლმე. ანტრაქტების გაჭიანურებაც არ არის სასურველი. უსუფთაობას და დახშულ ჰაერს გაწმენდასაც ყურადღება უნდა მიექცეს. ხალხი საკმაოდ დაესწრო. გამგეობა პატივსაცემია, რომ ასეთ სერიოზულ პიესებს სდგავს, ხოლო ემჯობინება თუ უკეთეს პირობებში მოათავსებს მსახიობთა და მაყურებელთ.

ვე—ლი

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე იბეჭდება

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ.

მეორედ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—**წიგნი** გამოსვლის ჟამს **ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან. 50 კაპ.**

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба**

Іос. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი ჟურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარჟებით და კარიკატურებით

წელიწადი მეოთხე	„თეატრი და ცხოვრება“ წელიწადი გამოცემისა მეოთხე	წლიურად 5 მან. ნახ. წლ. 3 მან.

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეჭილ და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვეს 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. სად. 5—7 ს. **ფოსტით:** Тифлисъ, ред. **„Театри да Цховреба“**—Іос. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავლაბარი· თეატრი „პალასი“

საგაზაფხულო სეზონი
წარმოდგენა № 2.

შაბათს, 26 მარტს, ავლაბრ. ქართ. სახ. წარმ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

ა. ცაგარლის ცნობილი კომედია

რაც მინახავს ვეღარ ნახავ

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.

ადგილების ფასი 30 კ.-დან 1 მ. 50 კ მდე.

რადგანაც ზოგიერთნი მოტყუებით ხელზე ჰყიდიან ბილეთებს, ამიტომ პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი წარმოდგენის ბილეთები გაიყიდება მხოლოდ თეატრის კასაში.

რეჟ. ალ. წუწუნავა. მორ. გამგე ა. თავდგირიძე

„ახალი კლუბი“

ერთი კვირის პროგრამა 27 მარტ.—3 აპრ.

კვირა—ქართ. ფილარ. საზოგ. საბავშო დილა

ორშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორკ.

სამშაბათი—საოჯახო საღამო.

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი, სიმებიანი ორ.

ხუთშაბ.—ქართული წარმოდგენა (უფასოდ);

პარასკ. სინემატოგრაფი. ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8 ს.

შესასვლელი ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმაში) 65 კ. მამაკაცები 1—05 კ.

სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 მარტს ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

ღ ა ლ ა ტ ი

დრ. 5 მოქ. ა. სუმბათაშვ. თარგ. გ. ყიფშიძისა

ზეინაბი—ნინო დავითაშვილი.

მონაწილენი: ქ-ნი: ქიქოძე, ბეჟანიშვილი, ბ-ნნი ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., კორიშელი პ., იმედაშვილი ა., იმხნელი გ., მამფორია ი., ჟივიძე ი. სარაული მ., ვარვარიძე ვ., ჩაგუნავა ნ.

ადგილების ფასი 15 კ.—1 მან. 50 კ-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ანდრონიკაშვილი

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т Полумордвиновъ·

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. къ представл. на сцен Кавк. Края. ц. Офкоп.

Тифлисъ Цензурный Комитетъ

სახალხო სახლი

დილით ხარებობას, 25 მარტს. დილით 2 შეერთებული გუნდი

· კავსაძის ლოტბარობით

გამართავს

დიდ კონცერტს

ბილეთების ფასები 15 კ.-დან 1 მ. 50 კ. დე; ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს. საღ. 6—8 ს. დილის 12 საათზე.

მორიგი წევრნი გამგეობისა: ი. ქარსელაძე, გ. პეტრიაშვილი და ი. დემეტრაშვილი.

ნაძალადევის თეატრი

კვირას, 27 მარტს, 1916 წ.

ნაძალადევის სცენის მოყვარეთა მიერ წარმ. იქნება:

დამარცხებულნი

დრამა 5 მოქ. პ. ირეთელისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ბერძნიშვილი, ს. გოგაშვილისა, ქ. კამკამიძე; ბ-ნ ყი: გ. გელიკურაშვილი, გაბინაშვილი, კუდუხაშვილი, სვანიძე, ს. გოგაშვილი, ძაძამია, ლადოშვილი, კაციტაძე, შავიშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 20—40 კ. დასაწყ საღ. 8 ს.

მორ. გამგე ი. სუხიშვილი. რეჟ ს. გოგაშვილი.

ავლაბრის თეატრ-„პალასი“

აღდგომის ორშაბათს, 11 აპრილს

სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართ. სცენაზე ცნობ. ოპერეტკა

„არშინ მალ-ალან“

4 მოქ. უზერ ბეგ გაჯიბეგოვისა, თარგ. ვანო გიგოშვილისა. საზანდარი მეთარე ალექსეროვის მონაწილეობით.

ბილეთები თეატრის კასაში იყიდება.

რეჟ ალექსეროვი. გამგე ვ. გოგიშვილი.

Дозволено Военной Цензурой სტამბა „ორიონ“